№1354 2015 წლის 25 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „Novo Nordisk A/S“-ს შორის გასაფორმებელი „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე

1. „უცხოელი კონტრაჰენტების მონაწილეობით ხელშეკრულებების გაფორმებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 11 მაისის №139 დადგენილების შესაბამისად, მოწონებულ იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოსა და სს „Novo Nordisk A/S“-ს შორის „დიაბეტის მართვის“ (პროგრამული კოდი – 35 03 03 02) პროგრამის „შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ კომპონენტით გათვალისწინებული სამკურნალო საშუალებებისა და სამედიცინო დანიშნულების საგნების: ხანმოკლე მოქმედების ინსულინის ანალოგის – ნოვორაპიდი პენფილი (100 ს.ე. 3 მლ. არა უმეტეს 6 750 კარტრიჯი); ხანგრძლივი მოქმედების ინსულინის ანალოგის – ლევემირი პენფილი (100 ს.ე. 3 მლ. არა უმეტეს 2 500 კარტრიჯი); საინექციო შპრიც-კალმისტრის

ნემსი ნოვოფაინი 30G 0.3X8მმ (№100 – არა უმეტეს 200 კოლოფი); საინექციო შპრიც-კალმისტრის ნემსი ნოვოფაინი 31G 0.25X6მმ (№100 - არა უმეტეს 800 კოლოფი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ ხელშეკრულების პროექტი.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტის ფარგლებში გასაფორმებელ/გაფორმებულ ხელშეკრულებაში ისეთი სახის ცვლილებების/დაზუსტებების შეტანა, რომლებიც არ უკავშირდება ხელშეკრულების მოშლის პირობების ან ხელშეკრულებაში გამოსაყენებელ სამართლად უცხო ქვეყნის სამართლის ან/და დავების გადაწყვეტის მექანიზმად საერთაშორისო არბიტრაჟის ან უცხო ქვეყნის სასამართლოს საკითხებს, არ საჭიროებს დამატებით საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**